თბილისი, საქართველო
ვ. ორბელიანის ქ. 20/4
ტელ: 995 32 2920371
info@aptos.ge
www.aptoslift.com

მე-10 საერთაშორისო კავკასიური კონგრესი პლასტიკურ ქირურგიასა და დერმატო-კოსმეტოლოგიაში - კოლხიდა 2016

მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ წელს 8-9 ივლისს, GeoPRAS-ის (საქართველოს პლასტიკურ, რეკონსტრუქციულ და ესთეტიკურ ქირურგთა ასოციაციის), კომპანია „აპტოს"-ის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით იმართება **მე-10 საერთაშორისო კავკასიური კონგრესი პლასტიკურ ქირურგიასა და დერმატო-კოსმეტოლოგიაში - კოლხიდა 2016.**

საერთაშორისო კავკასიური კონგრესი 2007 წლიდან პერმანენტულად იმართება. კოლხიდა 2016 წინა ღონისძიებებისაგან თავისი მაშტაბურობით გამოირჩევა. პირველად საქართველოში, მსოფლიოს 37 ქვეყანიდან ჩამოდიან ცნობილი ქურირგები და დერმატო-კოსმეტოლოგები, მათ შორის: ალან ტენენბაუმი (შვეიცარია), ალექსანდრ ტურკევიჩი (უკრაინა), არიფ ტურკმენი (თურქეთი), ერიკ ოზუნტურკი (თურქეთი), გუიდო მარონატი (იტალია), გილერმო ბლუგერმანი (არგენტინა), კირილ პშენისნოვი (რუსეთი), მარკო ანტონიო ბუენდია (მექსიკა), მარიტა აისენმან-კლაინი (გერმანია), მიშელ კოსტაგლიოლა (საფრანგეთი), ნატალია მანტუროვა (რუსეთი), გრემ პერკსი (დიდი ბრიტანეთი), ამრ ელ ნაგარი (ეგვიპტე), ზორან ზგალიარდიჩი (ხორვატია), დანიელ უბანი (გერმანია), ჯორჯ ფელმანი (ისრაელი), ერჩინ ოზუნტურკი (თურქეთი), ჰელდა ფელიციო (ბრაზილია), ოლექსანდრ ბოროდკო (უკრაინა), პატრიკ ტრეისი (ირლანდია), პიტერ ხაიდუკ (ჩეხეთი), სავერიო დი ბლასი (ვენესუელა), სერგეი ანტონოვი (პოლონეთი), რუბენ ოდენინო (იტალია), ება საბრი (საფრანგეთი) და სხვა. კონგრესზე მონაწილეობას იღებს 600-მდე მონაწილე. ღონისძიების ფარგლებში 113 მომხსენებელი გამოვა საინტერესო მოხსენებით.

კონგრესზე განსახილველი თემები:

- რინოპლასტიკა;
- ოტოპლასტიკა;
- ფეისლიფტინგი;
- რეკონსტრუქციული ქირურგია;
- მამოპლასტიკა;
- ქსოვილების აუტოტრანსპლანტაცია;
- ლიპოფილინგი;
- მცირეინვაზიური ტექნოლოგიები ესთეტიკურ ქირურგიაში;
- კორექციის ინექციური მეთოდები კოსმეტოლოგიაში;
- უჯრედული ტექნოლოგიები;

თბილისი, საქართველო
ვ. ორბელიანის ქ. 20/4
ტელ: 995 32 2920371
info@aptos.ge
www.aptoslift.com

- ბოტულოტოქსინის თერაპია;
- ფილერები;
- სიახლეები კოსმეტოლოგიაში.

ასევე, გაცნობებთ, რომ 10-11 ივლისს დაგეგმილია კომპანია „აპტოს“-ის სამეცნიერო სიმპოზიუმი - **„აპტოსის ვარსკვლავები“,** რომლის ფარგლებში „აპტოს“-ის მაღალკვალიფიციური ტრენერები, კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ.

შეგახსენებთ, რომ კომპანია “აპტოს”-ი 1996 წლიდან აწარმოებს “აპტოს”-ის ძაფებს, რაც წარმატებით გამოიყენება, როგორც პლასტიკურ და ესთეტიკურ ქირურგიაში, ასევე დერმატო-კოსმეტოლოგიაში.

“აპტოს”-ის ძაფების იდეის ავტორები არიან ბატონი მარლენ, გიორგი და კონსტანტინე სულამანიძეები, რომლებმაც ქირურგიული ძაფის მოდიფიკაცია მოახდინეს, დანერგეს პლასტიკურ და ესთეტიკურ ქირურგიაში. მათვე ეკუთვნით პატენტის ლიცენზია და საავტორო უფლება, ასევე ფლობენ მრავალ პრესტიჟულ ჯილდოს და ნომიმაციას, არიან საქართველოს, ამერიკის, საფრანგეთის, რუსეთისა და იაპონიის პლასტიკურ, რეკონსტრუქციულ და ესთეტიკურ ქირურგთა საზოგადოების წევრები.

“აპტოს”-ის პროდუქტები და მეთოდები წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს 60 ქვეყანაში. კომპანიაში დანერგილია ISO 13485 და CE მარკირება. კომპანია მუდმივად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებში, კონგრესებსა და გამოფენებში. ატარებს ტრენინგებს, ნერგავს ახალ მეთოდებს და მუდმივად მუშაობს არსებული პროდუქტის გაუმჯობესებისთვის.

კონგრესი ჩატარების ადგილი: Radisson Blu Iveria, ვარდების რევოლუციის მოედანი 1, თბილისი.

კონგრესის ჩატარების დრო: 8-9 ივლისი, 2016 წელი. 10:00